პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
ივლისი
22
კვირა
მზე ამ. 3 ს. 42წ.
მზე ჩას. 20 ს. 8წ.
შესაწ. მოვლენათა დღიური
1552 წ. ქ. ყაზანის დაპყრობა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 328 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 328

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ლეგიონის წითელ არმიელებს, პოლიტიკურ და უფროსთა შემადგენლობას.

ძვირფასო ამხანაგებო.

გიძღვნით მხურვალე სალამს და გულწრფელ მადლობას, თქვენი ლეგიონის დღესასწაულის გამო.

დიდი სიამოვნებით უერთდები თქვენს ზეიმს.

ჯერ ნორჩი, მაგრამ მომავლისათვის დიდი იმედების მომცემი ქართული წითელი ჯარის ლეგიონები გახდებიან საუკეთესო დამცველნი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების და საჭიროების დროს ლეგიონი და მისი სარდლობა დაამტკიცებს საბჭოთა წესწყობილების წინაშე ერთგულებას, რომელთა სახელი ლამაზი ასოებით აღიბეჭდება ქართულ წითელი ჯარის ისტორიის ფურცლებზე.

მიიღეთ კიდევ ჩემგან სალამი და მილოცვა, ლეგიონის დღესასწაულის გამო.

ამხანაგური სალამით. დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტიკურ-განყოფილების უფროსი: თენგიზ ჟღენტი.

21 ივლისი 1923 წ.
№ 287
ქ. ტფილისი.

სალამი ძვირფას იუბილარს.

დღეს შესრულდა ორი წელი, რაც ძირკველი ჩაეყარა ქართული წი ელი ჯარის ერთ ერთ ნაწილის—სამე ლეგიონის არსებობას.

ძნელი და მძიმე გზა განვლო ჩვე ა წითელმა ჯარმა თავისი ორი ხე რი წლის არსებობის მანძილზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდ ების დღიდანვე დაიწყო ქართული თელი ჯარის ნაწილების მოწყობა საქმე მეტად რთული და ძნელი ო რადგან გაქცეულ მენშევიკების ერ პროვოკაციით მოწამლული ერი კიდევ არ იყო გაფანტული და თ მიერ მიტოვებული ჯარი განიც და რღვევის და გახრწნის პრო სს. ცხადია ასეთი უნუგეშო პი ობებში ამ საპასუხისმგებლო საქ ს გაკეთება უფრო რთულდებოდა ძნელდებოდა. მაგრამ საბჭოთა ლისუფლების დაუღალავმა და ენე გიულმა მუშაობამ მაინც თავისი ტანა და ქართული წითელი ჯა სრულ რეალურ სინამდვილეთ ცა.

თავისთავად ცხადია, როდესაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მთელ ქართულ წითელ ჯარზე, იგივე ითქმის მის შემადგენელ ნაწილებზე. კერძოთ მესამე ლეგიონმა თავის არსებობის ხანაში ბევრი ხიფათი და გაჭირვებანი განიცადა, მაგრამ ხელმძღვანელი პოლიტმომუშავეების და უფშემადგენლობის დაუღალავი შრომით მან ღირსეულად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი და დაიმსახურა სახელი წითელ არმიის ერთ—ერთ საუკეთესო რაზმისა.

ამიტომაც დღევანდელი დღესასწაული მესამე ლეგიონისა არის მთელი ქართული წითელი ჯარის საზეიმო დღე—დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ განვლილ დღეებს ჩვენ შეცდომებს და სათანადო გამოცდილებით უფრო ენერგიულად შეუდგებით ჩვენი მოვალეობის ასრულებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარს!

ვაშა მესამე წითელ ლეგიონს!

მესამე ლეგიონის არსებობის ორი წლის თავზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანეში ე. ი. 1921 წ. მარტის მეორე ახევარში, თითქმის ყველა თვალსანო ქალაქებში იქმნა დაარსებული ითო-ოროლა ქართული სამხედრო რთეულები, დაახლოვებით იმავე ლის აპრილში დიდი უმეტესობა ამხედრო ერთეულებისა იქმნა მოროვილი ქ. თბილისში, სადაც გააზალისდა ქართული ლაშქარი და ჩაეყარა საფუძველი ახალი შტატების მიხედვით თვითეულ სამხედრო ერთეულს, ქართულ წითელ ლაშქრისა.

ერთ-ერთი ასეთი ნაწილი ქართული წითელი ლაშქრისა, იყო მე-8-ე ქართულ მუშათა და გლეხთა მსროლელი ლეგიონი, რომელიც ბინადრობდა მაშინ ქ. ქუთაისში და რომელიც ითვლება მამამთავრათ დღეს მე-3-ე ქართულ მსროლელ ლეგიონისა.

აღნიშნული ლეგიონის არსებობა, როგორც სამხედრო ერთეულისა, მიუხედავათ მისი შემადგენლობის რიცხვისა, ფაქტიურათ ითვლება 1921 წლის 19 ივლისიდან. მიუხედავათ იმისა, რომ მე-8-ე ლეგიონი დაარსებული იყო 1921 წლ. 30 აპრილიდან—„ცნობა: ბრძან. ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატისადმი, № 94“, ამ დროიდან 1921 წლ. 19 ივლისამდე მე-8 ლეგიონი თავის უმნიშვნელო რიცხვით შემადგენლობისა არ წარმოადგენდა სამხედრო ერთეულს ლეგიონის მასშტაბში.

მესამე ლეგიონის უფროსი
ამხ. **მ. კუპრაშვილი**

ეს ამ დროს იყო მხოლოდ შედგენის პროცესში, რაშიდაც ემჩნეოდა დიდი უფერულობა.

1921 წ. 19 ივლისს, თანახმად ბრძანებისა ქართულ მე-9-ე ლეგიონის თავი ამხ. სამსონ დიმიტრის ძე ლექვთაძე, მე-9-ე ლეგიონის 25 მეთაურით მოვიდა ქ. ქუთაისში—ბათომიდან და შეუდგა მერვე ლეგიონის შედგენას. ამ დროს მერვე ლეგიონს შეუერთდა ქალაქ ქუთაისის სადარაჯო რაზმი, რომლის შემადგენლობიდან ლეგიონს ჩაერთო 25 მეთაური და 680 წითელი ლაშქრელი.

ამ დღიდან იწყება ფაქტიური არსებობა მერვე ლეგიონისა და მის შესადგენათ წარმატებითი მუშაობა, რაც თვალსაჩინო ნაბიჯით მიდიოდა წინ მისი საუკეთესო უფროსის ამხ. **ლექვთაძის** ხელმძღვანელობით და მისი დაუშრეტელი ენერგიის მეოხებით.

მიუხედავად მისდა დამოუკიდებელ ბევრი დაბრკოლებების, რაიც წინ ეღობებოდა აღმშენებლობით მუშაობას, რის დაწვრილებით დასახელება შეუძლებელია, ლეგიონი წარმოადგენდა სწორედ საიმედო სამხედრო ერთეულს, როგორც ტეხნიკური მომზადების მხრივ, ის სამხედრო საქმის ცოდნის სფეროში, აგრეთვე, როგორც პოლიტიკურათ საიმედოს, ზემოხსენებული ნუმერაციით, ე. ი. მერვე ლეგიონის სახელწოდებით—ლეგიონმა იარსება 1921 წლ. 1-ლ ოქტომბრამდე, ამ რიცხვს ჯარების გადახალისების გამო, თანახმად ბრძანებისა მე-3 ქართულ ბრიგადისადმი № 37, ლეგიონს მიენიჭა სახელწოდება—„მესამე საძირითადო ლეგიონის“ ლეგიონის შემადგენლობა დარჩა უცვლელად, ძველი შტატების მიხედვით.

27 დეკემბერს, ჯარების ხელახალი გადახალისების გამო, ლეგიონს მიენიჭა სახელწოდება—„მესამე ქართულ ქვეითა ლეგიონის“.

1922 წლის აპრილში, ლეგიონის თავი ამხ. სამსონ დიმიტრის ძე ლექვთაძე დაინიშნა უმაღლეს თანამდებობაზე და დროებით ლეგიონის თავის მოვალეობის ასრულება დაევალა ლეგიონის თავის თანაშემწეს ამხ. ნოე ალექსის ძე ბერიშვილს.



მესამე ლეგიონის სამკომი
ამხ. **კაპ. კალანდაძე**

ამავე წლის 6 ივნისს, ლეგიონის თავად დაინიშნა ამხან. მიხეილ სოფრომის ძე კუპრაშვილი, რომელიც ამავე რიცხვიდანვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას და დღემდე, ლეგიონის სამხედრო კომისართან—ამხ. კაპ. კალანდაძესთან ერთად განაგრძობს ლეგიონის სახელოვნათ მეთაურობასა და ხელმძღვანელობას.

თანახმად ბრძანებისა, ქართულ მსროლელ დივიზიისადმი № 1——1912 წლის 1-ლ ივლისიდან ლეგიონმა ხელ-ახალი გადახალისების გამო, მიიღო სახელწოდება „მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონი“-სა.

ამავე სახელწოდებით, ლეგიონის ზემოხსენებულ პირების ხელმძღვანელობით, არსებობს დღემდე და სრული იმედი არის, რომ ის წარმატებითი მუშაობა, რომლის სულის ჩამდგმელი არიან ზემოთ დასახელებული პირები, თანამშრომლობით ლეგიონის უფ. და პოლიტ-შემადგენლობისა, უფრო განამტკიცებს და საბოლოოოთ გაამაგრებს ფიზიკურსა და სულიერს სიძლიერეს მთელი ლეგიონისა, როგორც სამხედრო ერთეულის, რაიც საჭიროა მიზანს წარმოადგენს თვითეთლ სამხედრო ნაწილებისათვის, საბჭ. ხელისუფლების დაცვის საქმეში.

ჩ.

ორი წლის თავი.

ქართული დივიზიის მე-3 ლეგიონი.

ორი წელიწადი შესრულდა 19 ივლსს, რაც ქართული დივიზის მე-3 ლეგიონი არსებობს.

მას თუმცა დიდი ხნის ისტორია არ აქვს, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში, რომელიც მის განკარგულებაში იყო-მან ბევრის გაკეთება შესძლო.

არაფრისგან ყველაფრის გაკეთება!..

ასჯერ გაზომე-ერთხელ გასჭერი...

არა კადრი, არა სათანადო ხელმძღვანელები, მენშევიკების მიერ მოწამლული მასა და ბევრი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები. ყველაფერი ეს იყო მიმართული ქართული ნაწილების სამხედრო მშენებლობის წინააღმდეგ.

მაგრამ მე-3 ლეგიონს რადგანაც თანდათანობით ბედმა არგუნა მომწიფებული და გამოცდილი ამხანაგების, საკამანდო და პოლიტ-შემადგენლობის მიერ ხელმძღვანელობა-სწორედ ეს არის შედეგი იმ დადებითი მხარეებისა, რაც ამ ნაწილს ასულდგმულებს.

მესამე ლეგიონის შტაბის უფროსი
ამხ. **ემ. კალანდაძე,**

დაუვიწყარია მე-3ლეგიონის ის ნამუშევარი, რომელიც მან გაატანა სახლში დემობილიზაციის სახით მიმავალ წითელ არმიელებს:

სამხედრო ცოდნა, პოლიტიკური აღზრდა, წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაცია—ყველაფერი ეს აღსანიშნავია.

დაუვიწყარია მე-3 ლეგიონის მიერ ისიც, რომ მან თავისი შემადგენ-

ლობით, როდესაც საჭირო იყო, თავისი მხედრული გული გადუშალა საბჭოთა ხელისუფლებას და სრულებით დაუზარებლად და გმირულად შეებრძოლა სვანეთში გახიზნულ მენშევიკებს, ნაციონალ-შოვინისტებს და მათ მიერ შექნილ ბანდიტებს, საიდანაც მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდეგ, თავიანთ კერას, წითელ ყაზარმას დაუბრუნდენ.

დემობილიზაციის შემდეგ დადგა დრო ახალგაზრდების მობილიზაციის, ახალ სტუმრებს ახალი ბინა, ნამდვილი წითელი ყაზარმა სჭირდება.

ჩვენ ველოდებით კახელ გმირებს, ქართველ მებრძოლებს და გამოჩნდენ კიდეც, შავშავი, თვალებ ბრიალა, რევოლიუციონერები.

აქ ლეგიონის პასუხის მგებელმა ამხანაგებმა სათანადო ინიციატივა გამოიჩინეს და ყაზარმები, პლაკატებით, ლოზუნგებით, წარწერებით და სხვა და სხვა ცნობილი ამხანაგების სურათებით ისე გამშვენიერეს რომ ახალ მოსულ სტუმრებს მასპინძლებიც კარგი დაუხვდათ.

პარტიული, პოლიტიკური და სხვა წრეების მუშაობა სრულებით დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე დგას და სანამ მე-3 ლეგიონს ეს საკამანდო და პოლიტშემადგენლობა ეყოლება, რომლებიც დღეს თანამშრომლობენ—მე-3 საზეიმო წლის თავზე, მე-3 ლეგიონიც იქნება იმ ნაწილების რიგში ჩამდგარი, რომელთაც თავიანთი რევოლიუციონერი დამსახურებით დიდი სახელი მოუხვეჭნიათ.

ვაშა ქართულ დივიზიის!
გაუმარჯოს მე-3 ლეგიონს!..

პარტ. ამხანაგი.

ცნობები

— **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა სრუტეების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მიანდო თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში ამხ. იორდანსკის.**

— **ოსმალეთის ოფიციალური პრესა აღნიშნავს, რომ ლოზანაში გამარჯვებას ოსმალეთმა მიაღწია მეზობელ სახელმწიფოების დახმარებით.**

— **ჰააგიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში აუტანელი სიცხეების გამო ჰოლანდიაში დაიხოცა 250 კაცი.**

— **ინგლისის თემთა პალატაში ბალდვინმა განაცხადა რომ მას ჯერ არ შეუძლია სთქვას როდის გამოქვეყნდება გერმანიის ნოტის პასუხი.**

— **ინგლისში გაფიცულ ნავთსადგურის მუშებს შეუერთდენ საავტომობილო ტრანსპორტის მუშებიც**

— **როგორც იუწყებიან ლონდონში გაფიცულ ნავთსადგურის მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება**

საბჭოთა ფედერაციაში

საბჭოთა მედიცინის 5 წლის თავი

საბჭოთა მედიცინის ხუთი წლის თავის აღნიშვნასთან დაკავშირებით, სტეკლოვი „იზვესტიაში" აღნიშნავს მის მიღწევებს. საბჭოთა მედიცინა უპირველეს ყოვლისა, კლასიური მედიცინაა. წინად მედიცინა ემსახურებოდა უმთავრესად კერძო მესაკუთრეებს, მასსები უმეტეს შემთხვევაში დატოვებული იყვნენ ბედის ანაბარად ხელში უფერდებოდენ მკითხავებს. საბჭოთა ხელისუფლება ვალდებული იყო მიეპყრო ყურადღება მშრომელთა მასების ჯანმრთელობის დაცვისათვის. მშრომელთა მასას შეძლება ეძლევა ისარგებლონ სანატორიებითა და კურორტებით, რაიც მეფის დროს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიისათვის. მეორე დიდ მიღწევად საბჭოთა მედიცინისა უნდა ჩაითვალოს ის რომ მუშებს საშვალება ეძლევა შევიდნენ საბჭ. სამედიც. ფაკულტეტებზე. საბჭოთა ხელისუფლება მალე მიიღებს სამედიცინო მუშათა კადრს, რომელიც საუკეთესო ბიძგი იქნება საბჭოთა მედიცინის პრაქტიკულ საფუძვლების განვითარებისაკენ. ასეთია საერთოდ ჩვენი მიღწევანი. სასურველი შედეგები ჩვენს მიღწევებს მოჰყვება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის, რომელმაც უნდა შეითვისოს როგორც ჩვენი მედიცინის საფუძვლები, ისე საფუძვლები ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ამხ. ლენინი დაინტერესებულია მსოფლიო-სამეურნეო გამოფენით.

ამხ. ლენინს წარედგინა საგამოფენო კომიტეტის გამოცემათა სრული კომპლექტი.

შეპელუგინის მკვლელობის შესახებ.

რუსეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლის შეპელუგინის მოკვლის შესახებ სდუმდა ბალკანიის ბეჭდვითი ორგანოები.

ახლა ბულგარეთის პრესსა მკვლელობაში ბრალს სდებს ვრანგელის მომხრეებს.

წინაამდეგ ამ ცნობისა, არის კიდევ ცნობა, რომ შეპელუგინი მოკლულ იქნა მთავრობის ბანდის მიერ.

შეპელუგინის სხეული დასახიჩრებული ყოფილა აუარებელი ჭრილობებით.

ლოზანის კონფერენცია.

ს. ს. რ. კ. მონაწილეობა ზავის ხელის მოწერაზე.

ლოზანის კონფერენციის გენერალურმა მდივანმა გასილიიმ გამოუგზავნა ამხ. ჩიჩერინს დეპეშა, რომელშიც იუწყება, რომ საზაო ხელშეკრულება და აგრეთვე ხელშეკრულება სრუტეების შესახებ, რომლის ტექსტი განხილული იყო ლოზანის კონფერენციის სხდომაზე 1 თებერვალს, რუსეთის დელეგაციის თანადასწრებით, ხელმოწერილი იქნება 24 ივლისს.

გენერალური მდივანი ითხოვს გააგებინოს, თანახმაა თუ არა რუსეთი მიიღოს ხელშეკრულება სრუტეების შესახებ ამ პირობებში და თანახმა არის თუ არა ის გაგზავნოს ლოზანაში თავისი წარმომადგენლები ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელი გახდა საბჭოთა წარმომადგენლის 24 ივლისისთვის ლოზანაში მისვლა, კონფერენციამ დაადგინა მისცეს მათ საშვალება ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერონ სტამბოლში 14 აგვისტომდე.

ამხ. ჩიჩერინის პასუხი.

ლოზანის კონფერენციის გენერალური მდივანის დეპეშაზე ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა, რომ თუმცა საბჭოთა მთავრობამ სცნო სრუტეების შესახებ ხელშეკრულებას არა დამაკმაყოფილებლად და ფიქრობს, რომ ის ვერ უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთში მტკიცე ზავს, ვინაიდან შავი ზღვის და სრუტეების გახსნა უცხო სახელმწიფოების გემებისათვის ს. ს. რ. კ. და ოსმალეთს აყენებს საშიშროების ქვეშ ზღვიწ ძლიერი სახელმწიფოების ფლოტის მხრით, მიუხედავად ამისა საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ ეხლანდელ მომენტში არ მოიძებნება სხვა გამოსავალი, ახლო აღმოსავლეთში შეთანხმების მისაღწევად, მზად არის

წერილი ამხანაგ წითელ არმიელს.

(წერილი მეექვსე.)

(გაგრძელება, იხილე № 325.)

წინა წერილში ამხანაგო წითელ არმიელო, ვერ ამოვსწურე ზოგიერთი მთავარი კითხვები შენი შეკითხვის გარშემო, ამიტომ მე ისევე იმავე თემაზე განვაგრძობ

ქართველი ერი. ეროვნულათ დამოუკიდებელია.

საქართველოში ამ ჟამათ მოქმედებს მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. იცემა და ქვეყნდება კანონები ქართულ ენაზე, და რადგან საქართველოში არიან სხვა ერებიც, რუსები, სომხები, თათრები და სხვა ითარგმნება ყველა ამ ენაზე. საქართველოს ცენტრალურ აღმასკომში არის ლაპარაკი ქართულ ენაზე ესე იგი უმრავლესობის ენაზე, გვყავს ქართული ნაციონალური ჯარი, რომლის წითელ არმიელი შენა ხარ და სხვა ამავე დროს უნდა ვეცადოთ არ შევავიწროვოთ ის ერნი, რომელნიც ამ ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობენ. მაგ. რუსები, სომხები და თათრები. ვინც ამას გვირჩევს მას წყლის ამღვრევა უნდა, მტრების გაჩენა უნდა ჩვენი ხელისუფლების და რევოლიუციის დამარცხება.

ჩვენ გვაქვს კავშირი სხვა ეროვნებასთან, ჩვენ შევქენით წვრილი დაჩაგრული ერების კავშირი.

გარდა ამისა ამხანაგო წითელ არმიელო, ჩვენ გვაქვს კავშირი და ამხანაგობა სხვა ეროვნებასთან, ჩვენ შევქენით აქ პატარა ერების კავშირი ანუ ფედერაცია. ამ კავშირში შედიან სხვა და სხვა ზნის, ენის, ჩვეულების და ხასიათის ერები. ესენი არიან თათრები სომხები და ქართველების და თვითეული ეს ერი სარგებლობს პერსონალური დამოუკიდებლობით. ეს პატარა კავშირი კი შედის სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირში, ესე იგი დიდ ფედერაციაში. ამას ქვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. აქ შედის რუსეთი, უკრაინა ბელორუსია და ამიერ კავკასიის ფედერაცია.

რათ დაგვჭირდა ჩვენ ან პირველი კავშირი და ან მეორე.

შენ იცი ამხანაგო და მე უკვე გითხარი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მრავალი მტრები ყავს და საჭიროა ამ ერთნაირათ, მოაზროვნე ეროვნებათა კავშირი, რათა ძრიელი ვიყვეთ. ამასთან საჭიროა ერთიანი გეგმა და მთლიანი გამოსვლა საგარეო პოლიტიკაში, როცა გარეშე სახელმწიფოები გველაპარაკებიან და უნდათ ჩვენთან ან ომი, თავდასხმა, ან სავაჭრო ხელშეკრულება და სხვა.

მაშინ საბჭოთა რესპუბლიკებს მეტი ძალა, რომ ჰქონდეს ამ მოლაპარაკებაში საჭიროა ერთი მთლიანი აზრი და მოლაპარაკება. თორემ ისე საქმე წახდება მტერი უთანხმოებას შეგვატყობს და მეტ მოთხოვნილებას წამოგვიყენებს. ამიტომ ჩვენ რადგან საგარეო საქმეში ერთიანი ინტერესები გვაქვს ეს საქმე მთელი კავშირის მიერ არჩეულმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა გადაწყვიტოს და ყველა ერმა, რომ ცალცალკე გარეშე საქმეთა კომისარიატები შექნან, ტყვილა ზედმეტი ხარჯის მეტი სარგებლობა არ იქნება რა!

ამიტომ ამ საქმეში, არც ერთი საბჭოთა სოც. რესპუბლიკები ცალცალკე; არც რუსეთი, არც უკრაინა, არც ბელორუსია და არც ამიერ კავკასია საქართველოთი აზერბეიჟანით და სომხეთით დამოუკიდებელი არაა.

ეს საქმე არის ყველა ეროვნებათა საკავშირო საბჭოს მიერ არჩეული მთავრობის საქმე პერსონალურათ შეიძლება მინდობილი ჰქონდეს, ქართველს, რუს სომეხს, თათარს, თუ უკრაინელს სულ ერთია, ის უნდა იყვეს ყველას სახელით მოლაპარაკე.

კიდევ რაში არაა ეს ერები დამოუკიდებელი და არც შეიძლება აქ სრული დამოუკიდებლობა? ეს გახლავთ სამხედრო საქმე. სამხედრო საქმე ამ რესპუბლიკებს ერთი პლანის და გეგმის უნდა ჰქონდეს, სამხედრო საქმე, წითელი ჯარი თხოულობს მჭიდრო კავშირს და ერთიან სარდლობას და არა დაქუცმაცებას რათა მტერს თავზარი დასცეს და უკუაცოს.

ყველა ეროვნების ნაციონალურ ჯარებს ერთი მთლიანი ორგანიზაცია და სარდლობა უნდა ხელმძღვანელობდეს, ამიტომ ყველა ერს უნდა ყავდეს თავისი ნაციონალური ჯარი, რომელიც უნდა იზრდებოდეს თავის სამშობლო ენაზე-მხოლოდ მისი თავდასხმის თუ მოგერების გეგმა ერთი უნდა იყვეს და არა ნაირნაირი თუ ეს ასე დარჩა, მტერსაც ეს უნდა რომ ადვილად მოგვერიოს.

სამხედრო საქმესთან ერთად მეტად საჭიროა ერთიანი გეგმა ვაჭრობა მრეწველობაში, საქონლის გაცვლა-გამოცვლაში გასასყიდათ, თუ შესაძლოთ აქ რომ რესპუბლიკებში ერთი მეორე ბაზარზე თვითონ არ დაამარცხონ და თავის, საქმე თავისივე ხელით არ გაიფუჭონ საჭიროა ერთიანი გამოსვლა. აბა წარმოვიდგინოთ ჩვენ, საქართველომაც გაიტანა თავისი ნაწარმოები საზღვარგარეთის ბაზარზე და აზერბეიჟანმაც ან რუსეთმაც, საქონელი იაფად უჯდის და გაასაღა, მეორეს უფრო ძვირათ უჯდის და ვერ გაასაღა, ერთმა წააგო მეორემ მოიგო, ეს რაღა გამოვიდა, მაშინ ხომ კონკურენცია ანუ მეტოქეობა მოძმე და მოკავშირე სახელმწიფოებში დატრიალდა, ამით ხომ ისარგებლა საზღვარ-გარეთელმა ბურჟუაზიამ. ჩვენი გამარჯვებისათვისკი საჭიროა, ჩვენ მოვაწყოთ საქმე ისე და ისეთი კარგი ღირსების საქონელი დავამზადოთ და გავიტანოთ ბაზარზე, რომ პირიქით ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ვაჯობოთ. ეს იქნება უდიდესი ჩვენი გამარჯვება.

ამიტომ აქაც ერთიანი ფრონტია საჭირო და არა დაქსაქსულობა: აი ამხანაგო რა ყოფილა ჩვენი ფედერაციის მიზანი. **ფედერაცია მაშასადამე ყოფილა კავშირი დამოუკიდებელ სახელმწიფოების საერთო საქმეების ერთიანი გეგმით გასაკეთებლად. ჩვენებური დამოუკიდებლობა კი ყოფილა შექმნა თავისი სახელმწიფო აპარატის მოწყობა სამშობლო ენაზე მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახით.**

გაბატონება თავისი სამშობლო ენის და სამშობლო ენის საშვალებით კულტურულათ წინსვლა, ისეთი მოხელეებისა და მოსამართლეების მოწვევა ვინაც იცის სამშობლო ენა.

ეროვნული ჯარის შექმნა და გაჯანსაღება მისი, შესწავლა ყოველივე მეცნიერების სამშობლო ენაზე, ამიტომ სასწავლებლებში, როგორც საშვალოში ისე უმაღლესში გადაცემა სამშობლო ენაზე, ყოველივე წარწერები—ქუჩებზე და სხვა.

აქ რა თქმა უნდა წარწერა გარდა სამშობლო ენისა შეიძლება და საჭიროა არამც, თუ რუსულ, სომხურ და თათრულ ენაზე, არამედ ფრანგულათაც თუ კი იქნება კიდევ უკეთესია, გარდა ქართველისა განა ვერავენ ვერ უნდა გაიგოს რა დაწესებულება და რა ქუჩაა?

და არის თუ არა შენ, ამხანაგო წითელ არმიელო ასე აქ საქართველოში? აბა კარგათ წაიკითხე ეს ჩემი პასუხი და მერე ყველაფერს დაუკვირდი პრაქტიკაში და შენ დარწმუნდები, რომ ეს ასეა და ამ გზისაკენ მივდივართ.

იქნებ ამხანაგო წითელ არმიელო ვისმეს ისეთი დამოუკიდებლობა უნდა, რომ ქვიტკირის კედელი გააკეთოს საზღვრებზე და არც სხვა შემოუშვას და არც თვითონ გადავიდეს. ასეთი დამოუკიდებლობა ჯერ არც ერთი ჯურის ნაციონალისტსაც კი არ შემოუღია. აბა თქვენ გააკეთეთ ისეთი კედელი თქვენს სახლშუა და მეზობლის სახლს შორის, ისე რომ ვერცკი გადახვიდე და ნახავ შენ თუ უმეზობლოთ გასძლო ან და იმან თუ გაძლოს უშენოთ. ასე რომ ამით შენს საქმესაც წაახდენ და შენი მეზობლისაც.

სხვა პარტიებს რომ მივანდოთ ნაციონალური კითხვის გადაჭრა, ერებს შორის სისხლის ღვრას გამოიწვევენ.

ჩვენ ზოგიერთი პარტიები ძალიან გვიწუნებენ ნაციონალურ კითხვის გადაჭრას, მაგრამ რომ მივანდოთ მათ ამ კითხვის გადაჭრა, გადაჭრიან თუ არა! ან გადაჭრეს როდესმე თუ არა?

კერძოთ აქ საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე ნაციონალური დამოუკიდებულობის ნაცვლად, ნაციონალური ომი და შუღლი იყო. აქ ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება. გაიხსენე ის სისხლის ღვრა, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა, როდესაც აზერბეიჟანი საქართველოს ესხმოდა თავს და საქართველოს აზერბეიჟანს, სომხეთი საქართველო და საქართველო სომხეთს ან და სომხები და აზერბეიჟანე-

ზავის ინტერესებისათვის ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას მისი ეხლანდელი სახით, უფლებით, რომ მომავალში კვლავ წამოაყენოს საკითხი ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ,

ოსმალეთის ოფიციოზის აზრი.

ოსმალეთის ოფიციოზური გაზეთი „ხაკიმიეთ მილიე“ სწერს: “ხელშეკრულების ხელის მოწერის დღე ხვდება ოსმალეთის რევოლიუციის წლის—თავს. ლოზანა ვერ გამოყიდის ოთხი წლის ბრძოლას. ლოზანაში ჩვენ მოვიშორეთ ექსპლოატატორების უღელი. ამ გამარჯვებას ჩვენ მივაღწიეთ მეზობელ სახელმწიფოებით

რას ამბობს საფრანგეთის პრესა.

საფრანგეთის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ ლოზანის ხელშეკრულება ნიშნავს ოსმალეთის გამარჯვებას.

ინგლისი და ოსმალეთი.

ლოზანიდან მიღებული ცნობით, ისმეტ-ფაშამ, კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მადლობა გადაუხადა მოკავშირეებს მათი ოსმალეთისადმი ასეთი მოპყრობისათვის მოლაპარაკების დროს და გაახსენა ძველი მეგობრობა, რომელიც აკავშირებს ინგლისსა და ოსმალეთს.

გერმანია

გერმანიის ფაშისტების მოქმედება.

„როტე ფანეს“ ცნობით ბავარიის სხვა და სხვა ქალაქების შებრძოლი რაზმები იკრიბებიან მიუნხენში ფაშისტების საოლქო კონფერენციაზე. ბავარიის რკინის გზის სამმართველომ დელეგატებისათვის ბილეთებს ფასი დაუკლო 25 პრ.

სამოქალაქო ომის აჩრდილი.

ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა სრულიად იმპერიის მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„ხმები მომავალი სამოქალაქო ომის შესახებ, ხალხის უმრავლესობაში იწვევს აღშფოთებას. ყველა, ვინც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ომს, არის ხალხის მოღალატე. ძალადობითი გამოსვლების ცდის წინააღმდეგ მიღებული იქნება უკიდურესი ზომები თქვენი მთავრობის მიერ“.

სარეპარაციო საკითხი.

გერმანიის საპასუხო ნოტა.

ინგლისის კაბინეტი ორსაათ ნახევრის განმავლობაში იხილავდა გერმანიის საპასუხო ნოტის რედაქციას.

ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ჯერ მას არ შეუძლია განსაზღვროს დრო გერმანიის საპასუხო ნოტის გამოქვეყნებისა.

გერმანიის საპასუხო ნოტის ინგლისის პროექტის შესახებ „პტი პარიზიენი“ სწერს, რომ „ინგლისის წინადადება ისეთი შემთანხმებელი ტონით არის დაწერილი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს მოკავშირეთაგანო, ეს განცხადება ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ბალდვინსა და პუანკარეს პირისპირ მოლაპარაკება გადაიდო, ვინაიდან მათი შეხედულებები დიდათ ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს.

სმენა.

(3-მე ლეგიონის ორი წლის თავზე).

სალამი მარჯვნივ! ლაშქარო სმენა!—
ვაშა, მესამე ლეგიონს, მზიურს!
მოდის მშრომელთა იმედი, რწმენა,—
და გუგუნებენ ხმებს ამ ქვეყნიურს.

მტკიცე ნაბიჯით-მოდიან რწმენით
კომუნის მშვენნი,-წითელ ქუჩებზე.
და ძვირფას გმირებს ალმური რბენით
ამაყი ღიმი უკრთით ტუჩებზე!

ცეცხლ-მოკიდებულ დროშის ფრთის ქნევა
შრომის სამეფოს ამკობს ფრიალით,
მის ქვეშ მყოფ რაზმებს არ სწამთ დახევა
მტერთა წინაშე ძლევის გრიალით!,.

ლეგიონერთა განიერ მკერდზე
აბნეულია ნაზ ვარდთ კონები;—
ძვირფასებია ყველა, ურთ-ერთზე
ჩაქუჩ ნამგალით თავ მომწონები!..

სანელი.

აგერ არის, თუ ძმა ხართ და რამე ნაირად იქნება გამიმზადო დღეს, ფეხზე დგომა არ შემიძლია, ისე ვარ დასუსტებული-“ო. მან უთხრა: „დღეს არ დავამზადებ და სადაც გინდა იქ მიჩივლე-“ო. წით. არმიელი ეუბნებოდა: „აბა თუ არ დამიმზადებ დღეს, გამიგე მაინც რეზოლიუცია რა არის, შეიძლება არც-კი მიშვებენ და უარი არის-“ო, რაზედაც პასუხი თავისებურად უთხრა: „წადი, მომცილდი, ვერ გიჩვენებ და რა გინდა ეხლა-“ო, რის შემდეგაც ქაღალდი აიღო და ბევრ ქაღალდების ქვეშ ამოდვა და სულ დამალა.

ეხლა მე როგორც ვამჩნევ ზემო აღნიშნ. ხნის განმავლობაში, ამხ. ასათიანის ასეთი მოქცევას წ. არ.-ლმი, დიდი ხნის პრაქტიკა ჰქონია მიღებული უკანასკნელზე, რაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაეთვალოს მას.

მკითხველო! ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ ვაჟბატონს არ სძინავდეს და სიზმარში არ ეგონოს თავის თავი, ვითომ კიდევ ძველ დამარცხებულ და უკვე დასამარებულ თვითმპყრობელობის დაწესებულებაში და უწყებაში მსახურებდეს და თან და თან განაგრძობს თავის არა სასიამოვნო და ზნე დაცემულ ჩვეულებით წინსვლას.

ჩვენდა საბედნიეროდ მას დიდი თანამდებობა არ უკავია, თორემ სულ მთლად შექმნს მოუნდომებდა ამხ. წ. არმიელებს, რისთვისაც ასეთ პირებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელ სამხედრო ნაწილებში-კი არა, არამედ სხვა სამოქალაქო დაწესებულებებშიაც. მოვითხოვ ჯეროვანი ყურადღების მიქცევას ვისგანაც ჯერ არს, რათა მოქ. ასათიანმა გამოიღვიძოს, რომ ის მსახურებს პროლეტარულ მთავრობის სამხედრო უწყებაში და არა ყოფილი შავი ჯალათებით სავსე მთავრობის სამხედრო უწყებაში.

ჰერულისპირელი.

ჩვენს წითელ ჯარს

სალამი ჩვენ სამხედრო ტრიბუნალს

ქართულ დივიზიასთან არსებულ სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალმა 16 და 17 ამ თვის რიცხვებში გაარჩია საქმე ცხენოსანი ლეგიონის ფურაჟ რის მჭედლიშვილისა და მასთან ხუთი მუშისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ სახ ზინო ქერის გაყიდვა. მჭედლიშვილმა წინასწარ მოსაზრებით მიჰყიდა სახაზინო ქერი (30 ფ. და 16 გ.) მუშა თალიაშვილს და ამ მუშამ გადაჰყიდა ის ქერი მოგების მიზნით სხვაზე. დანარჩენი მუშები კი შეუერთდენ მუშა თალიაშვილს მჭედლიშვილისათვის ფულის გადახდაში. ბრალდებულთა და მოწმეების დაკითხვისა და მხარეების კამათის შემდეგ, სასამართლომ ღირსეულად შეაფასა აღნიშნული ბოროტმოქმედება და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მჭედლიშვილს—ერთი წლის ციხე. მუშა თალიაშვილს ხუთი თვის ციხე; დანარჩენებს კი თითო თვის. დიდი ხნის არსებობის ისტორია არა აქვს ჩვენ ნორჩ დივიზიის რევტრიბუნალს მაგრამ იმან უკვე ბოლო მოუღო თითქმის დივიზიაში ორ სამ ნელ ბოროტებას—დეზერტირობას და ქურდობას, უსურვებთ მას ისევე მხნედ, დაუზოგველად ებრძოლოს, ყოველ მოვლენებს და რევოლიუციონური სინდისით ნახელმძღვანევი წასუ ი-ყოს წინ ჩვენი დივიზიის საკეთილდღეოთ.

დ. ხიხაძე.

ლები ერთმანეთს სამი მუდამ შევიწროებული, დაჩაგრული და გადატაკებული ერი მჭიდრო კავშირისა და ერთობის ნაცვლად ერთი მეორეს ხოცავდა, გაიხსენეთ ომი 1918 წ. 1919 წლებში.

ინგლისიდან ჩვენ არა ეროვნულ დამოუკიდებლობას უნდა მოველოდეთ, არამედ ეროვნულ ჩაგვრას.

ხშირათ ჩვენ იმპერიალისტურ და ბურჟუაზიულ ქვეყნებზე მიგვითითებენ. თუ გინდ ავიღოთ, როგორაა იქ ეროვნული კითხვა გადაჭრილი. ვინც მოელის ინგლისის იმპერიალისტებიდან ნაციონალურ დამოუკიდებლობას, ჯერ მან ასე დაუსვას თავის თავს კითხვა, რატომ ინგლისი არ აძლევს დამოუკიდებლობას იმ წვრილ ერებს, რომელიც მან დაიპყრო, კოლონიებათ გაიხადა და მრავალი საუკუნოებით და წლობით ამ ერებს სტანჯავს.

ყველაზე უკეთესათ ნაციონალურ კითხვას საბჭოთა რესპუბლიკები სწყვეტენ.

მაგრამ თუ კარგათ გაარჩევ აქაურ პირობებს და მრავალ ეროვნობას და აგრეთვე იმ რთულ პირობებს, შექმნილს კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენ კომუნისტებს ეს საკითხი კარგათ გადაგვიწყვეტია, როგორც საზოგადოთ ისე აქ საქართველოში, სადაც მრავალი ერი არის. საზოგადოთ უნდა გითხრა, რომ ნამდვილი ერთა თვით გამორკვევა საბჭოთა ხელისუფლებას ესმის თვით სისტემა საბჭოების მართვა გამგეობის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ქსელია, შეკავშირებული ერთ ფედერაციაში, სადაც მშრომელი ხალხის ინიციატივა აღიარებულია, როგორც შინაარსით და საქმით, ისე კონსტიტუციის ძალით. აი ჩემი პასუხი ამხანაგო, შენს შეკითხვაზე.

(გაგრძელება იქნება.)

თენგიზ.

მე-2-რე ლეგიონში.

პირველი კომუჯრედის მორიგი კრება მოხდა ა. წ. 24 ივნისს.

კრებას თავჯდომარეობდა ამხ. ხუროძე მდივნობდა პარკოსაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1. როგორ უნდა იქნას პოლიტიკური უცოდინარობა ამოფხვრილი პარტიულ ამხანაგებში.

2. პარტიული დისციპლინა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჭაავამ, რომელმაც მკაფიოდ და ვრცლათ გაუთვალისწინა კრებას თუ როგორ უნდა ებრძოლონ უცოდინარობას და აღმოფხვრან ის ძირფესვიანად.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. პარკოსაძე, რომელმაც ვრცლათ აღნიშნა პარტ-ამხანაგების მოვალეობა და როგორ უნდა შეასრულოს ყოველმა პარტ. ამხანაგებმა პარტიული დისციპლინა.

კრების დასასრულს ორივე მოხსენებები იქნა მიღებული ცნობათ და სახელმძღვანელოთ და აგრეთვე აღუთქვეს ყველა ამხ. ყოველივეს ასრულება ისე, როგორც ავალებს ამას მათ პარტიული დისციპლინა.

1-ლი კომუჯრედის სამხკორი:

შ. მელქაძე.

რაზელდ გვწერენ

საზიზღრობა რკინის ცოცხი!

2-რე ლეგიონის შტაბის სამწყ. ნაწილის გადამწერს მოქ. ასათიანს მე ვიცნობ მას შემდეგ, რაც ჩემზე დაკისრებულ მუშურ-გლეხურ მთავრობის მიერ სამხედრო ბეგრის მოსახდელად ვარ აქ მოსული, რის შემდეგაც თითქმის ორი წელი და სამი თვე უკვე სრულდება. როგორც, მე, ისე სხვა წ. არმიელებსაც არ ახსოვს, რომ მოქ. ასათიანი, ერთი რომელიმე მასთან მისულ სამსახურის საქმის შესახებ წ. არმიელს კეთილ—სინდისიერად მოქცეოდეს, როგორც შეშვენის დღეს არსებულ მთავრობის სამხ. ნაწილის შტაბის თანამშრომელს. ის ნაცვლად ამისა წით.—არმიელს მიმართავს არა სასიამოვნო და უხეში ფრაზებით და უკანვე გაისტუმრებს, როგორც ხდებოდა თვით მპყრობელობის დროს ყველა დაწესებულებებში.

მე თვით ვიყავი მოწმე ა. წ. 14 ივლისს, რომ მასთან მოვიდა ერთი წ. არმიელი, რომელსაც უმტკიცებდა გამხმარი, გაყვითლებული პირისახე, რომ ახლად განთავისუფლებული იყო რაღაც ავადმყოფობისაგან. მას ეთხოვა მოკლე—ვადიანი შვებულება ლეგთავისათვის, როგორც ძლიერ დასუსტებულს ავადმყოფობის გამო. ეს ქაღალდი და სხვა ასეთებიც, სათანადო რეზოლიუციებით უნდა გადასცემოდა მოქ. ასათიანს საბუთების ამოსაწერად.*) ის ეუბნება წით.-არმიელს: „მე არ მაქვს შენი ქაღალდი ჯერ გადმოცემული“-ო. ამ დროს თვით ამ წ. არ—მა თვალი შეასწრო მის მაგიდაზე თავის ხელით ნაწერ ქაღალდს და ეუბნება: „აი

ახალი ამბები

მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

ქალ. აღმასკომის საადგილმამულო განყოფილება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნის ორ ხევსურულ ძროხას.

ქუჩების შეკეთება.

ქალ. კომუნალურ განყოფილებას წინადადება მიეცა შეაკეთოს ქუჩები: ლენინის, წყნეთის, ელისაბედის, ჩერქეზიშვილის და სხვ.

ხელოვნების მუშაკთა დღე.

23 ივლისს დანიშნულია ხელოვნების მუშაკთა დღე. ყველა თეატრებში და კინოებში, და აგრეთვე ფუნიკულიორზე გაიმართება მრავალფეროვანი წარმოდგენები და კონცერტები.

იონა ვაკელის ლექსთა კრებული.

რედაქციამ მიიღო პროლეტარული პოეტის იონა ვაკელის ლექსთა კრებული, „შარვანდედი“. წიგნი დიდი ფორმატის არის, გამოცემული სუფთად და დასურათებულია ამხ. მხატვარის ირ. გამრეკელის მიერ.

ცხრაწლიანი შრომის სკოლები.

თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებასა მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოს დაბა-ქალაქებში გახსნილ იქნება ცხრაწლიანი შრომის სკოლა.

ვერის ბორანი.

ქალაქის აღმასკომმა უარყო ვერის ბორანის იჯარით გაცემა და წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას მოაწყოს მისი ექსპლოატაცია სამეურნეო წესით.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო.

სრ. საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკაში ფიზიკურ განვითარების საქმის მოსაწყობი მიზნით კომისარიატთან დაარსდა ფიზიკურ კულტურის უმაღლესი საბჭო.

სამხედრო საქმე

სხვა და სხვა გვარი კვამლი და ცეცხლის-მფრქვევნი.

ქიმიურ საბრძოლო საშუალებათა მოხმარების გარდა ომში უწინ იხმარებოდა დ მომავალშიც მოიხმარება ეგრედ წოდებული კვამლები. კვამლი თავის დანიშნულების მიხედვით შეიძლება სამ გვარი იყვეს: შემხამებელი, მომშხამავი და ნიშნის.

შეტევის დროს, როცა სურვილი აქვთ მტერი შეცდომაში შეიყვანონ, ან პირობის მიხედვით ჯარის ისეთი გადაჯგუფება მოახდინონ, რომ მტერმა არ იცოდეს და არ შეამჩნიოს, მაშინ მტრის სანგრეების მიმართ სქელ, უმჭვირვალო ბოლის მიშვება დიდ შეღავათს იძლევა, ვინაიდან ეს სქელი ღრუბელი დაჰფარავს მტრის თვალდევნისაგან ჯარის ყოველგვარ მოძრაობას, მოქმედებას და ადლუმიანობას.

ამ შემთხვევაში მტერთან შეუმჩნევლად შეიძლება სანგრეებთან გულდაგულ მიახლოვება.

აქ აგრეთვე შეიძლება სხვა და სხვანაირი ილეთები იხმაროს და არამც თუ უვნებელი კვამლი გაიშვას, არამედ შხამიანი გაზებიც მიეშვას მტერს.

წარსულ ომში ინგლისელები და გერმანელები ერთი ერთმანეთს ჯერ შხამიან გაზს მიუშვებდნენ ხოლმე და შემდეგ უვნებელ კვამლის სქელ ღრუბელს, რომელშიც მოიერიშე ჯარი მოძრაობდა და შეუმჩნევლად მოწინააღმდეგის სანგრებს უახლოვდებოდა.

ჯარის ამ გვარ შეხამებას ბრძო-

---

*) მოწმობების და სამგზავრო ლიტერების გამოწყობა აქვს დავალებული მოქ. ასათიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გადამწყვეტ წამებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

უეჭველია, მომავალ ომში, როგორც უვნებელს, ისე შხამიან კვამლს ფართედ გამოიყენებენ.

შეტევის უკანასკნელ წამებში კავშირის სამსახური მუდამ მოისუსტებს.

ბრძოლის პირობებში სატელეფონო მავთული მუდმივად ვერ იმოქმედებს, ვინაიდან ადვილად შეიძლება გაწყდეს საარტილერიო ჭურვით, ან კიდევ სხვა რაიმე მიზეზით და მისი აღდგენა მოითხოვს დროს, რაიც ამ გადამწყვეტ წუთებში სრულიად არ ექნებათ. ეს ნამეტნავად საგრძნობია, როცა ფრონტი დიდ სივრცეზედაა გაჭიმული და ამ შემთხვევაში, ჭკუასთან ახლო იქნება, ნიშნის კვამლის მოხმარება შეტევის უკანასკნელ წამებში; ეს კვამლის ნიშანი ღამით—ფერადი ცეცხლის სახით იქნება, დღისით კი ფერადი კვამლით, ყოველ ცალკე ნიშნისათვის ექნებათ რა განსაზღვრული ფერი.

„კრასნი ბოეც"-ის № 10—11 ბატაშევი ამ ნიშნის კვამლს დიდ მნიშვნელობას მიაწერს და გამოსთქვამს აზრს, რომ ფართე მოხმარება ექნება მომავალ ომშიო, თუმც კი უნდა აღინიშნოს, რომ რა საჭირო იქნება ამ გვარი კვამლი, როდესაც ყოველ ასეულის უფროსს ჯიბეში სატარებელი რადიო თან ექნება.

გაზების გარდა, როგორც ქიმიურ საშუალებას, წარსულ ომში ცეცხლ წაკიდებულ სითხეებს ხმარობდენ. ამ მიზნისათვის სამი ტიპის ხელსაწყოთი სარგებლობდენ: პირველი—ხელის ცეცხლისმფრქვევით უშვებდენ ნავთის შადრევანს, რომელიც ავტომატიურად ენთებოდა და ორმოც-ორმოცდაათ ნაბიჯზედ ისროდა ცეცხლის ჩანჩქარს, მხოლოდ ომში ამ უკანასკნელს არ ხმარობდენ, რადგან ცეცხლისმფრქვევით ახლო არ იკარებდენ და ჰხოცავდენ.

მეორე საბატარეიო—ისევეა მოწყობილი, როგორათაც ხელის, მხოლოდ ნავთით სავსე დიდ ბალონებს წარმოადგენენ, რომელთაც სანგრების მოწინავე ხაზზედ სდგამდენ. ნავთის ცეცხლის ჩანჩქერი 70—100 ნაბიჯზედ ისვრის. იხმარებოდა მხოლოდ მნიშვნელოვან პუნქტების დასაცავად.

სხვათა შორის 1919 წ. ამ გვარი ცეცხლისმტყორცნები ქ. ახალციხის დასაცავად იხმარებოდა ოსმალების წინააღმდეგ.

მესამე ხელსაწყობი ფუგასიურია, რომელსაც განსაკუთრებული ასაფეთქებელი ფალია აქვს, რის აფეთქების შემდეგ გვირაბიდან ამოჰხეთქდა ანთებული ნავთის ჩანჩქარი.

ყველა ზემოჩამოთვლილი ხელსაწყონი იხმარებოდნენ ციხე სიმაგრეთა დაცვის გამწვავებულ პერიოდებში.

გ. ბ.

მესამე ქარ. ლეგ. ორი წლის თავზე.

ბრძოლის ცეცხლში დავიბადე—
წითელ გმირად ვიშვი ქვეყნად;
ბრძოლის დროშა ხელთ მიპყრია
და ვატარებ სულ წინ მედგრად!

ორი წლის ისტორია
თვალწინ მიდგას დანახატი;
და კომუნა მიწვევს თვისკენ
რკინას როგორც ანდამატი:

არ დავიხევ არავის წინ
ვიდრე მკლავში მიჰრის ღონე;
ერთს წუთსაც-კი არ ვიცოცხლებ
თუ მტრები არ დავაღონე!..

წ.-არ. **მეკოგო**

მეცნიერება და ტეხნიკა

სამყაროს დაუსრულებლობა.

უკანასკნელად ახალი მიღებული ცნობები ყველასათვის ცნობილი ჩიკაგის ასტრონომიული ობსერვატორიის მუშაობის შესახებ, იძლევიან საუცხოვო სურათს ქვეყნიური სივრცის მიუწვდომლობის შესახებ.

ყველაზე უახლოესი მუდმივი ვარსკვლავები დაცილებული არიან დედამიწიდან ისეთი მანძილით, რომ მათგან გამოშვებული სინათლე აღწევს ჩვენამდე 8 ნახევარი წლის შემდეგ, მაგრამ არიან ისეთი ვარსკვლავებიც რომელთა დედამიწიდან დაცილების მანძილი გაცილებით დიდია.

ასეთი ვარსკვლავები იგივე განცალკევებული, დამოუკიდებელი მზეები არიან, რომლებიც 5-7 ჯერ აღემატებიან ჩვენს მზეს.

ჩვენი პლანეტთა სისტემა თავის მიმქროლავი მოძრაობით მიისწრაფვის ვარსკ. კრებულ. ვეგასაკენ 8 ვერსის სიჩქარით წუთში. მაგრამ ეს მანძილი იმდენად დიდია, რომ ათასი წლის განმავლობაშიც შეუმჩნეველია განვლილი მანძილი იმასთან შედარებით, რომლითაც დაკლებული დედა მიწა ვარსკ. კრებული ვეგისაგან.

მთვარის დაბნელებები და მზის შავი წერტილები.

პირველი შეხედვით ამ ორი ერთმანეთისგან მეტად დაცილებულ მოვლენებს შორის კავშირის არსებობა აღმოაჩინა ამას წინათ (1920 წ.) ფრანგ მეცნიერმა დანჟონმა.

მზის შავი წერტილების რიცხვი მის ზედაპირზე ხშირად იცვლება. შენიშნულია ამ წერტილების სიმრავლე პერიოდულად, ყოველი თერთმეტი წლის თავზე. წერტილების სიმრავლე ორ შუალედ შორის მეტად მცირდება, ხოლო შემდეგ ისევ იზრდება ახალ საზღვრამდე. წერტილების რიცხვის მერყეობა დიდ გავლენას ახდენს დედამიწაზე მომხდარ ზოგიერთ მოვლენაზე, განსაკუთრებით ელექტრონულ და ანდამატურ მოვლენებზე.

გამოირკვა, რომ მთვარის ფერი მისი დაბნელების დროს დიდ დამოკიდებულებაშია მზის შავ წერტილებთან. მინიმუმების წლებში დაბნელებული მთვარე მეტად მკრთალია და ხშირად დანახვაც შეუძლებელია მაგრამ შემდეგ წლებში ის ხდება უფრო და უფრო ნათელი.

მინიმუმის წინ დაბნელებები არიან უფრო ნათელი, ხოლო მინიმუმის დადგომისთანავე ისინი იმ წამსვე ბნელდებიან.

თქმა არ უნდა ეს დამოკიდებულია მიწის ატმოსფერის გამჭვირვალეობის ცვლასთან. იმ წლებში, როდესაც მზეზე შავი წერტილების რიცხვი ნაკლები, ჰაერიც ამღვრეულია, ხოლო შემდეგ თანდათანობით იწმინდება. ეს მტკიცდება სხვა გამოკვლევებითაც.

აღსანიშნავია, რომ ვულკან კრაკატოს უდიდესი ამოხეთქის დროს 1883 წ) რომელმაც ამოისროლა აუარებელი ფერფლი, მთვარის დაბნელებები (1884-1885 წ.) იყვნენ მეტად მკრთალი, თუმც ამ დროს არ ყოფილა მზის შავი წერტილების მინიმუმი. ამ შემთხვევაში ატმოსფერა გასვრილი და ამღვრეული იყო ვულკანიური ფერფლით.

უწინ მთვარის დაბნელებებით მტკიცდებოდა დედამიწის სიმგვრალე (მის ჩრდილს ყოველთვის აქვს წრის მოხაზულობა) ეხლა კი ჩვენ მათი შემწეობით ვსწავლობთ ატმოსფერის თვისებებს.

უმცირესი ჰაეროპლანი

ამას წინად ქ. ნეაპოლ'ში (იტალია) მოახდინეს ცდა მთელ ქვეყანაზე არსებულ ჰაეროპლანებზე უმცირეს ჰაეროპლანით ფრენის, რომელსაც სამ ნახევარი მეტრის სიდიდე აქვს ფრთებიანად. მიუხედავათ ცუდი და არა ხელსაყრელ ამინდისა, თვით მფრენი ავიდა ჰაერში 4,500 მეტრის სიმაღლეზე და გამოიჩინა 140 კილომეტრის სიჩქარე საათში.

სახარინის შესახებ.

ომიანობისა და რევოლიუციის წლებში და აგრეთვე იმის გამო, რომ ბაზარზე ერთხანს შეუძლებელი იყო შაქრის შოვნა, სახარინი მოსახლეობის ფართე ფენებში დიდ ხმარებაში შევიდა და ამნაირად ჩვენს შინაურ ოჯახურ ცხოვრებაში მან სრული მოქალაქეობრიობა მოიპოვა. ქალაქის მცხოვრებთა და აგრეთვე გლეხების უდიდესმა მოთხოვნილებამ გამოიწვია მისი მიწოდების გადიდება და სახარინით ვაჭრობას შეუდგენ არა მარტო მაღაზიები და საწვრილმანო სავაჭროები, არამედ ქუჩის ბავშვებიც.

მედიცინური თვალსაზრისით სახარინი არის განსაკუთრებით გემრიელი პროდუქტი და არავითარი სინოყივრე მასში არ მოიპოვება, რაც შეეხება მის მავნებლობას ორგანიზმისათვის, აქ ექიმების შეხედულება სხვა და სხვანაირია.

თუ არ შევეხებით სახარინის მავნებლობას საერთოდ, არ შეიძლება იმ ფაქტის უყურადღებოთ დატოვება, რომ შაქრის სუროგატის უდიდესმა მოთხოვნილებამ და მისი ვაჭრობით სიადვილემ ქუჩის ყოველ კუთხეში, ბუნებრივად შეეძლო გამოეწვია მისი ფალსიფიკაცია, მხოლოდ ისეთი ქიმიური შეერთებებით რომლებიც აუცილებლად დიდი მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის.

ლოზანის ჭაპანწყვეტა დასრულდა.

ყველა უკმაყოფილოა, ყველამ მიიტანა მსხვერპლი.—ოსმალების გამარჯვება და საბჭოთა რუსეთის.—ზავი მერყევ ნიადაგზე.

დიპლომატიური ლაზღანდარობა ლოზანის კონფერენციაზე დასრულდა და ამ დღეებში, როგორც სჩანს ხელმოწერილი იქნება ზავი. ყველა მონაწილე სახელმწიფოების განცხადებით მან უნდა დაამყაროს მტკიცე წესრიგი.

მაგრამ საჭიროა მხოლოთ ფხიზელი თვალით შევხედოთ საქმეს, რომ დავრწმუნდეთ, რომ არავითარ „წესრიგზე" ლაპარაკი არ შეიძლება. მდიდარი ნავთის ადგილები მოსულში რჩება გამოურკვეველ დრომდე დამპყრობელთა ხელში, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვად ერთი წელიწადი მაინც. ოსმალეთის სატახტო ქალაქი—სტამბოლი—კიდევ მთელ ნახევარ წელიწადი ვერ განთავისუფლდება მოუპატიჟებელ სტუმრების—ინგლისის ჯარის და მეზღვაურებისაგან.

ოსმალეთი შედარებით მშვიდობიანად გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან, მაგრამ, როგორც დავინახეთ იმასაც მოუხდა გაეღო დიდი მსხვერპლი. მაგრამ უფრო ძვირი დაუჯდათ ეს ზავი მოკავშირეებს. ისინი გამარჯვებულები მსოფლიო ომში იძულებული შეიქნენ უარი ეთქვათ ბევრ იმედებზე: ჩაეშალათ ოსმალეთის დამოკიდებულ მონად გადაქცევის გეგმა.

უცხოელებმა დაუსვეს ჯვარი თავის ზრახვებს მიეღოთ „თავის მფარველობის ქვეშ" ნაციონალური უმცირესობანი; ისინი გამოემშვიდობნენ ფიქრს, რომ ოსმალეთში იყოლიონ თავისი სასამართლოები, ფოსტა, ტელეგრაფი დ სხვა დაწესებულებები; იმათ ეკრძალებათ თავისუფალი პროფესიით საქმიანობა, ოსმალები თავის ვალის პროცენტებს გადაიხდიან არა ოქროთი, არამედ საფრანგეთის უზრუნველყოფილი ქაღალდებით და სხვა.

ბოლოს და ბოლოს არც ერთი და არც მეორე მხარე არ გამოსთქვამს არავითარ სიხარულის გრძნობას. ყველასათვის ცხადია, რომ ეს ზავი მხოლოდ დროებითი შესვენებაა. მტაცებლები განაგრძობენ თავისი ბრჭყალების ლესვას, რომ ყელში წაუჭირონ ოსმალეთს, ოსმალეთი, კი თავის მხრით დაიწყებს მზადებას გამოჰგლიჯოს მათ მოტაცებული ქონება.

კიდევ ერთი შედეგი ლოზანის კონფერენციისა არის ის, რომ ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც ყოველთვის ცხოვრობდენ როგორც კატა და ძაღლი ოსმალეთის საკითხში გადაიქცენ აშკარა მტრებად. საფრანგეთმა ამ საქმეში მეტი წააგო და არ დაწყნარდება მანამ სანამ სამაგიეროს არ გადაუხდის ინგლისს რაიმე გზით.

და ორთავე „მეგობარი—მოკავშირეები" მთელი ძალღონით სცდილობენ აჯობონ ერთი მეორეს ადამიანთა მუსრის გასავლებ იარაღის გამოგონებაში.

რუსეთი თითქმის თავისთვის იყო ლოზანის ჭაპანწყვეტის დროს, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ თვეებში. მაგრამ ეს მხოლოდ ასე გვეჩვენებოდა. რუსეთს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ოსმალეთის შედარებით გამარჯვების საქმეში.

ოსმალეთმა იცოდა, რომ ასეული მილიონები საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების დგანან ყველა აღმოსავლეთის დამონებულთა და ჩაგრულ ხალხების სადარაჯოზე და ამან მისცა მას ძალა მოკავშირეებთა ხროვასთან საბრძოლველად.

რუსეთს ეს არ გაუკეთებია ტყვილა უბრალოთ, მან შეიძინა აღმოსავლეთში ძლიერი და საიმედო მეგობრები. მაგრამ მას მოუხდა მიეტანა დიდი მსხვერპლი.

თავის საბრძოლველ სადარაჯოზე აღმოსავლეთის ხალხის- საქმისათვის მოჰკლეს ამხ. ვოროვსკი.

ამას გარდა ერთი პუნქტი ლოზანის კონფერენციისა ძლიერ ეხება რუსეთის ინტერესებს. ოსმალეთის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა გემებს შეუძლიათ გამოვიდენ შავს ზღვაში და დაიმუქრონ ჩვენს სანაპიროებს.

ამისათვის საბჭოთა რუსეთის მშრომელთა ყურადღება არ უნდა მოიღალოს და ის მუდამ მიქცეული უნდა იქნეს საშიშარ პუნქტისაკენ.

როგორც ვხედავთ, საზავით კმაყოფილი არავინ არის. ლოზანის ჭაპანწყვეტა დასრულდა, მაგრამ მისი ნაყოფი აღმოცენებულია მერყევ ნიადაგზე.

(„რაბოჩაია გაზეტა")

ს. ტ.

[illegible]

გამოქცეული ხელთათმანი

„რუმინეთის საზღვარზე წითელი ჯარის სამუშაო რაზმებს რუმინეთის საგუშაგოებიდან სროლას უტეხენ".

დეპეშებიდან.

ხელთათმანი გამოაგდო
რუმინეთის ბოიარმა,
და სიამით ტაში დაჰკრა
ბურჟუამ მის მაზიარმა!

იწვევს წითელ ჯარს დუელში
ქონდრის-კაცი, „კარაპუზა;"
რომლის ხიშტის ქვეშ მრავალჯერ
ძირს დაეცა, მოიკუზა!

საგუშაგოდ მდგარ არმიელს
ამ საქმეზე ეცინება;
და რუმინელს ჯვარი მოსდის—
სისხლის ოფლი ედინება.

კანჭზე ძლივს სწვდება ბუმბერაზს
ბათინკაზე კბენს, უღრინავს,
არმიელი-კი დასცინის—
ათამაშებს და უსტვენს!

თოფს არც-კი იღებს ხელში და
სიცილით და სტვენით უტევს;
და ამ თავხედ პატარა ბიჭს
მაღლა აწეული ყურს უწევს.

მის გადმოგდებულ ხელთათმანს
„პარტანკად" იხვევს წვივზე;
და რუმინეთის შავ კალთას
ცეცხლის რისხვა მაღლით სწვავს ზე!

დაშნა

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ამხ. სამხედრო კომისრების საყურადღებოდ.

თანახმად ქართული დივიზიის პოლიტგანის განკარგულებისა, ამა წლის მარტში მოხსნილი იქნება უფასო სეანსი წითელ-არმიელთათვის კინო „სარკიანში" (ეხლა „წალკოტი") და მის მაგივრად იგზავნება 150 უფასო ბილეთი. მიუხედავათ ამისა ყოველ დღე მოდიან უბილეთო წითელ-არმიელნი და მოითხოვენ გაშვებას კინოში, გთხოვთ განუმარტოთ წითელ-არმიელებს, რომ არც ერთი წითელ-არმიელი არ იქნება გაშვებული კინოში.

ც. წ. ა. კლუბის გამგე **ხიხაძე.**
კომენდანტი **ხერხეულიძე.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.300 სამხედრო სტამბა